პროექტის განმარტება

პროექტი № V V-55/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხებ ქ. თბილისში, ჩუღურეთის საქსელო რაიონის ტერიტორიაზე ნ. გოცირიძის ქ-ზე მდებარე ს/ჯ № 6114-სა და ს/ჯ № 6264-ს შორის მდებარე მ/ძ-ის (6კვ.) ამორტიზებული მიწისქვეშა ძალოვანი კაბელის შეცვლას.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 6114-დან ნ. გოცირიძის ქუჩის ტროტუარზე, ს/ჯ № 6264-თან ეზოში არსებულ სერვიტუტის გვერდულზე, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, სამანქანო გზების გადაკვეთა დამუშავდეს გვირაბული მეთოდით „კროტის" გამოყენებით. მიწისქვეშა კომუნიკაციების და ეზოებში შესასვლელების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო კაბელი, ჩაიდოს კაბელი NA2XSEY1(3*150RM/25)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი.

ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ს/ჯ-ებში, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული კაბელის წვერები უჯრედებიდან და მათ ადგილზე შეერთდეს ახალი ჩადებული კაბელის წვერები.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პრ-ტი № VV-55/17	
ფ.№	ფ.რ.
2	4